განკარგულება:**g-63. 63240228**
თარიღი:**22/01/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე, მოისმინა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და

გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართის შესაბამისად).

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

3. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაიონულ სასამართლოში (მისამართი, ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი